

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია



DEDOPLISTSKARO TOURISM DEVELOPMENT ASSOCIATION

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია



DEDOPLISTSKARO TOURISM DEVELOPMENT ASSOCIATION

created by ENPARO

ინფორმაცია
დედოფლისწყაროს ტურიზმის
განვითარების ასოციაციის მიერ
2021 წელს
გაწეული მუშაობის შესახებ

მომხსენებელი მანანა ყატაშვილი -
ასოციაციის თავმჯდომარე

ასოციაციის საქმიანობის მიზნები:

- ▶ ტურიზმის მდგრადი განვითარება რეგიონში;
- ▶ ტურისტული ინფრასტრუქტურის და პროდუქტის განვითარება, მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
- ▶ დაცულ ტერიტორიებთან თანამშრომლობა;
- ▶ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტურიზმისა და გარემოს დაცვით საკითხებზე;
- ▶ ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

ასოციაციის წევრები არიან დედოფლისწყაროელი:

- საინფორმაციო და სხვა მომსახურების სერვისების მფლობელები
- სასტუმროების მფლობელები
- გიდები
- ტრანსპორტის მფლობელები
- კვების ობიექტების
- ტურისტული აღჭურვილობის გაქირავების
- სხვა ტურისტული სერვისების წარმომადგენლები.

ასოციაციაში გაწევრიანება ტურიზმის სფეროში ჩართულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ვინც გამგეობას მიმართავს განცხადებით და იხდის ყოველწლიურ საწევროს.

ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის
ფარგლებში HEKS-EPER Georgia -ს და
ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია
„ელკანას“ მხარდაჭერით და ფინანსური
დახმარებით ასოციაციას აქვს
დედოფლისწყაროს ტურიზმის
საინფორმაციო პორტალი www.dtda.ge
და გვერდი სოციალურ ქსელში FACEBOOK

გვაქვს ესტონეთის სოფლის ტურიზმის
ასოციაციასთან თანამშრომლობით და
ENPARD-ის ფინანსური დახმარებით
შემუშავებული

დედოფლისწყაროს ტურიზმის
განვითარების ასოციაციის
სტრატეგიული დოკუმენტები

ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები

მიზანი: ტურისტული ინფრასტრუქტურის და პროდუქტის განვითარება, მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
ღონისძიებები:

- ▶ ესტონეთის სოფლის ტურიზმის ასოციაციამ მიიღო გრანტი ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ჩვენს ასოციაციასთან პარტნიორობით.
- ▶ პროექტის თემა: „სოფლის ტურიზმის პროდუქტების განვითარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“
- ▶ პრიორიტეტულია პროექტში ახალგაზრდების (21 წლამდე) და ქალი მეწარმეების ჩართვა.

სოფლის ტურიზმის პროდუქტების განვითარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

- ▶ პროექტით დაგეგმილი ღონისძიებები:
- ▶ ადგილობრივი სამუშაო ჯგუფი წევრები, ასოციაციის წევრი ბიზნესების და ERTO ჯგუფის ონლაინ და რეალურ სივრცეში სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები სხვადასხვა თემაზე
- ▶ ტურისტული პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმების შემუშავება ერთობლივად და თარგმნა ქართულ ენაზე, ელექტრონული ვერსიის მომზადება;
- ▶ ხარისხის სისტემის ვიზუალური იდენტურობის შექმნა - ეტიკეტის დიზაინი 2 ენაზე
- ▶ სასწავლო ვიზიტი ესტონეთში ქართული ჯგუფისთვის, 6-7 დღე, 30 მონაწილე (1-2 პირი ერთი ბიზნესიდან, ახალგაზრდების ჩათვლით)
- ▶ პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადება ხარისხის კონსულტანტებისა და მეწარმეებისთვის. ტექსტის თარგმნა ქართულ ენაზე. ელექტრონული ვერსიის შექმნა ქართულ ენაზე (თარგმნის ასოციაცია).

პროექტის ფარგლებში ესტონელები
უკვე იყვნენ დედოფლისწყაროში 2021
წლის ნოემბერში

ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან
ასევე ტარდება ონლაინ შეხვედრები

ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები

მიზანი: ტურისტული ინფრასტრუქტურის და პროდუქტის განვითარება, მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
ღონისძიებები:

- ▶ ასოციაციამ გაიმარჯვა UNDP-ის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „SMART VILLAGES“. პროექტის სათაურია „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი Google map-ზე“. დაგეგმილია ჩვენი სამუშაო ჯგუფის მისვლა ყველა დასახლებულ პუნქტში და იქ არსებული საჯარო ადგილების, ღირსშესანიშნაობების და მცირე და დიდი ბიზნესების მონიშვნა რუკაზე, რაც ხელს შეუწყობს მთელი რაიონის და მათ, შორის, ტურისტული ბიზნესების, პოპულარიზაციას.
- ▶ პროექტის განსახორციელებლად ასოციაციამ შეიტანა თანადაფინანსება 800 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. თანხის ნაწილი გადახდილი საწევროებით დაიფარა

ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები

მიზანი: მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტურიზმისა
და გარემოს დაცვით საკითხებზე;

ღონისძიებები:

2021 წელს CTC-ში წარვადგინეთ პროექტი: „გადავარჩინოთ ქოჩების ტბა“
-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტურიზმის, სპორტისა და
რეკრეაციული ადგილების განვითარების მუნიციპალური სერვისების
გაუმჯობესების ხელშეწყობა.

სამწუხაროდ, ასოციაციამ დაფინანსება ვერ მიიღო.

ასოციაციის საქმიანობის მიზნები და ღონისძიებები


მიზანი: ტურიზმის მდგრადი განვითარება რეგიონში;
ღონისძიებები:

- ▶ 2021 წლის აპრილში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ ტრენინგი შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი ურთიერთობების პრევენციული ღონისძიებების მართვა covid19 -ის პერიოდში”;

სტატისტიკა

ვიზიტორთა რაოდენობა

■ 2019 ■ 2020 ■ 2021



- ასოციაციაში ამჟამად 20 წევრია. წევრთა ნაწილი სხვა ბიზნესში ან სხვა ქალაქში გადასვლის გამო გავიდა წევრობიდან.
- წესდების მიხედვით, გასაწევრიანებლად საჭიროა წერილობითი განცხადება, თანხმობა ყოველწლიური საწევროს გადახდაზე და ობიექტის/სერვისის შესახებ ინფორმაციის მოწოდება.
- გამგეობა აგრძელებს ინფორმაციის შეგროვებას ასოციაციის წევრების ბიზნესებზე საიტზე გამოსაქვეყნებლად.

ფინანსები:

შემოსავლები-საწევრო ანარიცხები

ხარჯები:

2020-2021 წლები ჩვენი საიტის www.dtda.ge
დომეინის და ჰოსტინგის საფასური

UNDP -ის პროექტის თანადაფინანსების თანხის
ნაწილი

მადლობა ყურადღებისთვის!



created by ENPARD